

გაზეთის ფასი

| | | |
|-----------------|-----------|-----------|
| თვილი ფასი | 7 მან. | 6 მან. |
| წლილი ფასი | 4 — | 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | 2 — 50 კ. | 2 — |
| მართის თვისა | 1 — | 75 კ. |
| საღვთის ნომრისა | — | 15 კ. |

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზე. შანი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივად ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულეობით — ასოზე 1/2 კაპ.

ფრომბა

ხელის-მოწერა მიიღება:

თვილი ფასი — „ფრომბის“ რედაქციის კანტორაში, მელიქო-ქოშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ამბუტის სახლში.
 თვილის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.**
ქუთაისში — მ. ძალანდარაშვილთან (სახულიერო სასწავლო-ბელში) და **ლ. ლალუასთან** მაგარის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახლში.
 პეტრის ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „ფრომბაში“ დასაბეჭდად, მაგრამ, რომლისაზე მიზეზის გამო, არ დაბეჭდა.
 თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილ სტატიას და ისე დაბეჭდს გაზეთში.

საკრძალბიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მთავრდება.

მთავარი 1872 წელს

„ფრომბა“

გამოცემის თვის ძველებური პროგრამისა შეუცვლელად.
მთავარი წლიდან მთელი წლის „ფრომბის“ ფასი, შვიდი მანეთის მანეთით, ემსი მანეთი იქნება.
 პირველ იანვრამდე „ფრომბაში“ ხელის-მოწერა მიიღება ისევე თვილისში — „ფრომბის“ რედაქციის კანტორაში, მელიქოშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ნ. ამბუტის სახლში, და ქუთაისში — გერასიმე ძალანდარაშვილის (სახულიერო სასწავლო-ბელში).
 თვილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა, პირველ იანვრამდე, გაზეთი „ფრომბა“ შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ: **Въ Тифлисъ, Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К^о.**

ხელ-მოწერის ფასი:

| | | |
|--------------|---------|---------|
| მართის წლისა | 5 მან. | 6 მან. |
| წლილი წლისა | 2 50 კ. | 3 — |
| სამის თვისა | 1 50 კ. | 1 75 კ. |
| მართის თვისა | 50 კ. | 60 კ. |

წლებად ხელის მოწერას, რომელთაც გაზეთის ფასი ჯერაც არ შემოუბრუნებიათ, უმოკლესად მთხოვთ, რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ.

ფულტონი

ცხელ-ცხელი-ამბები.

დიდი ხანია რაც „ცხელ-ცხელი ამბები“ თავი აღარ ამოუყვიათ „ფრომბაში“, და ამის გამო ხშირად გვეხმის მკითხველებისაგან: „ხომ არ გაუყინა ეს?“ მაყინის რამოგახსენოთ, მაგრამ სიცხე კი ძალიან დაჭირა, ასე რომ ცოტა არ არის კიდევ აღნობს და ის გვაჩერებს, თორემ აქამდე სულ ტრუსუნ-ტრუსუნს დავწყებინებდით, რასაც მოგხდებოდა, ხრაკის სუნს თუ რა ძალა და მოქმედება აქვს მძინარეებზე? ამწერი ბანის არ იყოს, შეუფარდება ბოლქვით ცხვირში და გულის ძილშიც რომ იყოს კაცი, ზეზედ წამოხატუნებს. აი ეს მიზეზია, რომა ხრაკის სუნს ვერცხვით... ნათქვამია, ძილში კაცი არა სცოდნება და მამ ჩვენსა საზოგადოებამ რაღათ იკისროს ცოდვა? იძინოს! იძინოს ტკბილად! იძინოს ბაყ-ბაყ-ღვივის ძილით, რომ ვგება მწარი ცხელი ტკბილ სიზმრებთან მიხეც შეეცვალოს და თამამად, კაცურად ძილში მიხეც წამოიბოროს: „აჰ! მე!“ და მაშინ ჩვენი ჩანგიც მოირთვის მათ საქებათ და საძილის-პირად:

იძინეთ, ძებო, კვებით... ღრმა ძილით!
 საქმად ვისეაშთ ვეტყობათ ბანგი!...
 მეგბ სიზმარში ნახათ სიცილით,
 რომ ავიყვადათ თქვენ თქვენი ბანკი.

მე კი ცხადთ ვსტვრეტ და ჰეშ. რიტად,
 რომ თქვენი ბანკი, თქვენი ალალი,
 მაღაქვულა პატარა ვგრიტად
 და მას მრისხანედ დამზერს ალალი!

მაგრამ თქვენ გინახათ, თქვენ ვერს ხედავთ,
 ზოგ-ზოგნი ძილსა კიდევ იგონებთ!

შინაარსი

„ფრომბის“ გამოცემაზე 1872 წელს. სქარათველთ: სილნალის მახრიდან („ფრომბის“ კორესპ.) — სოფლიური ექიმობა (წერილი რედაქტორთან) — შორიდან („ფრომბის“ კორესპ.) — წერილი ამბები. — უსეთი: წერილი ამბები. — უსეთი ქვეყნები: — საფრანგეთი, — იტალია, — ბელგია. — ნარევი. — სერბოლომითი განცხადება. — უსეთი: ცხელ-ცხელი ამბები აკ. წერილისა

„ჰოუ! ჰოუს!“ თქმა არავის გნებავთ,
 და წინ-დახედით თუესაც იწონებთ!

მაშ ისევ ძილით დრო გაატარეთ!
 და თუ სხვამ გინემ ქორს მიამახოს,
 თქვენ მას მისდევით, ქვა მიყარეთ,
 რომ ტბილინ დღენი მან ვეღარ ნახოს!

და თაყი ისევ მიყვით სიზმრებს,
 რომ ვეღარავინ გითხრობდეთ ძილსა!

და მაშინ თქვენცა... აქ უარყოფად,
 უნდა გავგაღო ჩემი კალამი,
 რადგანაც ცოტათ გახლავარ ავად
 და ლექტორს უნდა მივსცე სალამი!

მთხოვთ იცნობდეთ ამ ლექტორს; გვეფიცებით ეინცა მძულს იმას, რომ მეტად კარგი კაცია! სხვა ლექტორებს არა ჰგავს: საზოგადოათ ლექტორები, როდესაც ავთამყოფთან მილიან, იმას ენას გამოაყოფინებენ და თვითონ იმ დროს ცხვირს უჩვენებენ ხოლმე, და ამ ლექტორმა კი ცხვირიც გვიჩვენა და ენაც თვითონ გამოგვიყო!... ბევრს მეტად მოსწონს ეს ლექტორი, მაგრამ მე კი უნდა მოგახსენოთ, რომ არ მიყვარს ამ გვარი ხუმრობები და ის მიზეზიც არის, დღვის იქით რომ აღარ მიხდა ამ ლექტორს დავეითხო ჩემს ავთამყოფობაზედ. ჩემი ავთამყოფობა გახლავთ გულის ტკივილი. ლექტორს არა და, თქვენ კი მოგახსენებთ, თუ რისგან შემიღდა ეს სწეულება: მე გახლავარ ერთი უფერატომო; რა გვარისა ვარ, აღარ ვიცი! დამეკარგა გვარტომობის დაფთარი. მიხეც ვიყავი, ის დავკარგე და რათაც მიხდოდა გადავტყულებოყავ, ვერ შევიძელი, ვეღარ გავხდი და დავჩინ ორთა ტომთა შუა, ისე როგორც მელამურა, რომელიც აღარც თავიცა და აღარც ჩიტი!...

საქართველო

სილნალის მახრიდან.

(„ფრომბის“ კორესპონდენცია)

მაზეთის „ფრომბის“ მე 47 №-ში იყო დაბეჭდილი კორესპონდენცია იმაზე, რომ ამ ქაშად უბალახობისა გამო საქონლის მებატრონები ძალიან შეწყუხებულნი არიან საქონლის არაქათ წართმეული მდგომარეობით. აქვე იყო აგრეთვე სხვათა შორის მოხსენებული, რომ უბალახობისა გამო საქონლის მებატრონებმა თავის ნებათ მიატოვეს საქონელი გაშლილს ალაზნის ნაპირა მინდერებში იმ განზრახვით, რომ რა არის თავისუფლათ მყოფი საქონელი უფრო ადვილათ მოიპოვებს გაშლილს მინდერებზე ბალახს; ამისა გამო, ვამბობდი მე შემდეგში, ახლა ძალიან გამრავლდნენ სილნალის მახრაში ქურდებიო.

ამ წინანდელი ჩემი აზრის დასამტკიცებლათ, მე ახლა მოგახსენებ მკითხველს შემდეგ სამწუხარო შემთხვევას:

ერთ სოფლის შანიანის გლეხს-კაცს, გვარით მ-ნა-ბ შეილს, შირაქის მინდორში, ორსამ კაცის ამხანგობით საკუთრათ ჰქონია ჩემი ხელობა ყმაწვილების აღზრდა! და დიდი ხანიც არის რაც მივყავ მათ ხელი. აღრეე უფრო კარგათ მიმყავდა საქმე, რადგანც რჩევაში მუხას დავეყითხებოდი ხოლმე; მართალია, დღესაც მუხასთანა მაქვს ანგარიში, მაგრამ სულ სხვა გვარად: მაშინ წვეტლებს ვეყითხებოდი და ახლა კი მართა რკოსა და მის მოყვარულს; და, რასაკვირველია, ამითი საქმე ცოტა არ არის ჯანჯლდება!... ლამის გამაგიჟოს, რომ შეიძლებოდეს ჩემი გაგიჟება, ამ უხეირო მეტოდამ.

ხომ მოგახსენებთ, თუ რა ძნელია ქართული ანა-ბანა... რა ვეცადე და მოსწავლეები ძლივს მივიყვანე „ყარ (ყ) ხარამდი (ყ)“. მს ორი ასო როგორც კი ისწავლეს, დამიჯინეს და დამიწყეს ყვირილი: „ყარ-ხარ! ყარ-ხარ! ყარ-ხარ!“ ორი წელიწადი მიყვირეს; ბოლოს როგორც იქნა დავასწავლე მესამე ასოც: „შინ (შ)“; მოჰყენენ კიდევ მაშინაც: „ყარ-ხარ-შინ! ყარ-ხარ-შინ!...“ მართი წელიწადიც ამის ყვირილს უნდებოდნენ!... დასასრულ მოვიდომე რომ კიდევ შემდეგი ასო გამეყვებინა მათთვის, ასო ჩინი (ჩ), რომ ის მაინც დავსწავლათ.

მსურდა ამესხნა მე მათთვის „ჩინი“, რომ გამხდარიყვნენ ისინი ჩინი, მით მოვპოვებ მათ თვალის ჩინი და შემეძინა მისთვის მეც ჩინი!...

მაგრამ, სანამ მე ამ კეთილ-განძობას შეეასრულებდი, მოწაფეებს თვითონ ესწავლათ ანა-ბანა და შევედი თუ არა, მომავიერეს: ჰიე! ჰიე! (ჰ), და ისეთი შემახურეეს, რომ მეც თვითონ, ჰიე! ჰიე! (ჰ) მაძინეს. გამოვბრუნდი განრისხებული და შეუდექი მის დამტკიცებას, რომ ამ ქვეყნის ხალხს ქუე-განება აკლია და მაღალ სწავლას ვერ შეიძლებს, ვერ შეითვისებს მეტკი. თუმცა ჩემი თავი არ დავზოგე და გამოძიების დროს სახეში მქონდა, მაგრამ საზოგადო საბუთი კი ვერ მოვინახე დასამტკიცებლად. მაშინ, მომგონემ

ნასყიდი საზოგადო სოფლი თივებში ერთი ძირი თივა, რადგან ამ უბალახო ზამთარში ის ძალიან დასჭირებიათ საქონლისთვის ამისათვის როგორც ამ ამხანგებს, აგრეთვე მთელს სოფელს გადაუწყვეტიათ იმის გამოტანა. ამასთანავე დაუდევით, რომ ყველანი ერთად წავიდეთ იმის მოსატანათო.

მაგრამ ვინ არ იცის ჩვენთანგან, რომ ქვეყანაზე არიან ხალხნი, რომელთაც თვალი ხარბი აქვთ და გული გაუძლომელი. მს უბედური კაციც თურმე ამ გვარ კაცებს ემუთენოდა: თურმე ძალიან პირობის გაუტანელი კაცი იყო. პირობის გატეხაში ის თურმე ერთხელ და ორჯელ არ ყოფილა სოფლისაგან შინიშული, არამედ მრავალჯერ. აი ესლაც თურმე, რადგან იმან ნამდვილათ იცოდა, რომ თივის სყიდვაში მონაწილე გლეხებიც უნდა მოვიდნენო იმის წამოსაღებათ, ამისთვის ის სხვებზე წინ წასულა იმ განზრახვით, რომ კარგი თივა მე წამოვიღოვო. ის მივა, საცა ყოფილა დადგმული თივის ძირები თავის სამი უღელა ხარ-კამბეით; გამოუშვეს ურემს, აინთებს ცეცხლს, გამოაბამს თივის საქონელს ურემზე და ცხენძველის დროისამ, მე დავეითხე მკითხველს, (აქ უნდა მოგახსენოთ, რომ, ვითარცა ძველ კაცს, მკითხაობა ძალიან მწამს) და მათ მიწინასწარმეტყველეს ეს ორღესული ჰაზრი: „მაშინ შეგიძლია დამტკიცო ეგ ჰაზრი, თუ ერთს წამში ხუთს მინუტს გაარბენინებ ისე, რომ საათის ისარს (სტრელკას) არ მოატრიალებო.“ მომეწონა ეს სიტყვები, მიეხედი მათს ჰაზრს: შეუდექი ცდასა და ერთს წამში ხუთი მინუტი კი არა უმეტესიც გაგარბენიე.

მაგრამ ამ ოსტატობამ კინაღამ უბედურება შემამთხვია; მხოლოთ ღმერთებმა გამოამხსნეს განსაცდელისაგან. მე კი მაინც იმ დღილამ დამჩემდა ერთი ცუდი და უსიამო სწეულება! რა მემართება, გნებავსთ შეიტყოთ? უკაცრავათ ვიქნები, რომ გითხრათ, მაგრამ ეს კი არის, რომ იმედი მაქვს თავს მომარბებთ და ახლოს ვეღარც ცხვირს მიჩვენებთ!...

და ღმერთთან სწორე სჯობს, ყველანი მერიდებთან ავთაცა და კარგათაც, მაგრამ ერთი ვიღაც შეეარნაძმე გადამმეტრა და აღარ მასვენებს.

შევარნაძმე დამმეტრა —
 ჩემივე ტომის კაციო,
 ჯერ მან ერთი „ჩოქში“ მიხარა,
 და მერე კიდევ „აილი“!

—
 მიხარას მაინც, რათ გამიწერს.
 ნეტავ რისთვის დამმეტრა?

...
 მივირს, რატომ არ დასტრება!
 ხომ იცის მეც პასუხს ვაგებ.
 და ღმერთიც მას გაუწყობდა,
 როცა ჩემბურათ ვაგებ! ...

—
 თუ არ უნდა თავის წყნა,
 რათ იფიქრებს უბედური,
 რომ რეალური შექვს ენა,
 და უფრო კი ძველებური!

აკ. წერილებს

საქ ახლოს დანახვას; მერე წამოწევა და დაიძინებ. ამ დროს მოუხტებთან მას ქურდები და ამ საქონლიდან სამს შესხნიან. ამასობაში ის გაიგებს და ოდეს ნახავს, რომ ხარკამბეჩი აღარ არის, უკან გამობრუნდება ცხენის სანახავით; ცხენი თავის ალავასევი აზია მაგრამ ამ დროს მოეცა ერთი ქურდაგანი და დაიწყო ცხენის შესახებ. პატრონი წინააღმდეგობას დაუწყებს, მაგრამ ქურდი კაცი ეშმაკურად თურმე პირში უღიბოდა და თანაც ძალაობას ეწეოდა ცხენის წასაყენათ ამასობაში იმათ მოსულიათ ერთმანეთში ძიძგილაობა და აი ამ დროს მომველებია ამ ქურდს ის ქურდი, რომელიც ამ სამს მოპარულ საქონელს გვერთ უღდა და უტლიდა თავის ამხანაგის მიერ ცხენის მოყენასაც, და დაუცია ყარაბინის დამბა და ჩაუშამებია იმისთვის წუთი სოფელი.

მედკრული კაცი დასკევიმა იმ მიწის გულზე, რომელიც კეცხვად მას ამდენხანს, მაგრამ კი ვერ აძლბდა მის ხარბ თვალს და ამოსვლით უდროვით სული—ვინ იცის, იქნება იმის სასჯელად, რომ ის ყოფილა კაცი ძუნწი, პირობის გამტეხი, მეტის მსურველი და საერთო სასოფლო საკუთრებიდან კარგისა და მეტის მიღების მოწადინე.

მაგრამ მკითხველს ნუ ეფიქრება, რომ ამგვარი ხარბი თვალისა მარტო ეს ბედკრული კაცი იყოს. საკვირველი თვისებისა და ხასიათის არის ჯერეთ ჩვენი გაუნათლებელი გლეხი ხალხი, ასე რომ, უნდა გითხრათ,—იმ სასოფლო საზოგადოებაში, სადაც ერთი პირი გარდაემატება მეორეს სარჩოთი და ცხოვრებით იქ მდიდარს უნდა, რომ თავის მძლავრობით მოუსპოს მეორეს ლუკმა-პური, მიღწევიზის იქმდისინ, რომ ის მეტათ იმსახურს მსგავსად პირუტყვისა, მხოლოდ ქამა-სმის გულისთვის, და არ შეუწყობს ხელს, რომ წამოაყენოს თავის სიღარიბედან ფეხზე, რომ რა არის იმანაც გაიგოს ამ წუთი-სოფლის სიამოვნება და იგემოვნოს თავის სიცოცხლით. როგორც შეიძლება, შანიანის სოფლის საზოგადოებას ჰქონდა ხუთმეტამდისინ ძირი თივა საერთოდ გათიბული. უფრო ღარიბი სოფლის გლეხები ეუბნებოდნენ მდიდრებს და მძლავრებს, რომ თივები გაყიდოთ საზოგადოთ და იმ ფულით მოვიშროთ რომელიმე სახელმწიფო ხარჯი. ამ აზრზე მდიდრები განგებ, რომ დააჩუბონ აყუანებულნი ღარიბი გლეხები, დათანხმებულან, მაგრამ მალეით კი უზიდაეთ თივა თავიანთ საქონლისთვის. აი ამ მოკლულ კაცსაც თურმე ჰქონდა მოტანილი თივა ამ გვარის ხალხის მუხტლობით.

ამ გვარს კაცებზედა პოეტი რუსთველი ამბობს:

მული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღობელი,
 მული ქამ-ქამად ყოველთა ქირთა შიშო, ღიბნითა
 მძლავრობა მისი მსგავსი იქნება მძლავრობისა,
 მული ბრმა, უჩინი ხედვისა, თვით ვერს ვერ გამ-
 ინოსტრე, მხოვდ დროშა მათი მძლავრობისა,
 მერე პატრონობს სიკვდილი, ვერცა შეფა რომელი.
 ინგელია შანაშელოი.

ახალ-სენაქიდაშ

(„ღროების“ კორესპონდენცია)

ღმით, 27-ს წარსულს ნოემბერს, სენაკის სატუსალოდან გაიქცნენ რამოდენიმე ტუსალნი, რომელნიც იყვნენ დაჭერილნი სხვა და სხვა დანაშაულობისათვის და რომლებზედაც გამოძიება ჯერ სრულიად არ იყო გათავებული. მს შემთხვევა მოხდა ღამის 11 სათზედ; ტუსალები დიდის ოსტატობით მოქცეულან.

იმდამეს ყოფილა ძლიერი ქარი, რომლითაც უსარგებლობათ ტუსალებს: ერთი იმათგანი დაახლოვებია კარის მცველს და დაუწყა

ყა მასთან მუსაიფი; ამ დროს ხმოვანების მოსასპობათ გატეხილის ფანჯრის მინისგან მიუფარებიათ მინაზე ნაბადი, გამოუტეხიათ ჯერ მინა, შემდეგ გამოულათ კედლიდან ფიკრები, რომლითაც იყო დამაგრებული ფანჯრა და გაულან ფანჯრიდან. შემდეგ იმ ტუსალსაც მოუსპოა მუსაიფი, რომელიც იქცეულა მცველს და თვითონაც გასულა იმ გზათ, საიდანაც სხეები გაიქცნენ. მაგრამ ამასთანავე დანაშაულებს უქნიათ ოსტატობა: გაუცეთებიათ ნაბდებისა და ქვეშაგებლებისგან კაცის სახეები და დაუსვამთ ტახტზედ, ასე რომ მცველი ყოველთვის, როდესაც შეიხედავდა სატუსალოში, ნახავდა მყუდროდ მჯდომარე ტუსალებს. მს მოტყუილება გამქლავდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს დამცველი გამოსცვალა მეორემ. შეტყუებისათნავე მპრის ნაჩაღნის მოუხდენია ფიცხელი განკარგულება მოძებნისათვის და სხვათა შორის მიენდო თავის თანაშემწისათვის.—იმ წასვე გადვენოდა გაქცეულებს დასაქვრად.— თანაშემწე მისულიყო ფიქრის სტანციაში, აიყენა ტროიკა და გამოდგომოდა გაქცეულებს. ამ ტროიკის ზარების ხმას ღრმა ძილიდან გამოეღვიძებია სოფლებში მცხოვრებლები რომელთაც შეეტყუათ რომ მპრის ნაჩაღნის თანაშემწე დაეძებს გაქცეულ ტყვეებსაო...

4 დეკემბერს, 1871 წელს.

სოფლის მძივობა

(წერილი რედაქტორთან)

უფ. რედაქტორა! მგონებ, ბევრმა თქვენი გაზეთის მკითხველებმა არ იცოდნენ და არც კი გაეგანათ ზოგიერთა სოფლისური ექიმობები, ამისთვის, იმედი მაქვს, შემდეგს ამბავს მისცემთ თქვენს გაზეთში ადგილსა და გახდით იმას საზოგადოების წაკითხვის ღირსად. რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, რაც მე ერთხელ საორთვეოთ დამითხვეს სასწავლებელიდან და წაველ ჩემსა, ერთს ბურის სოფელში.

მრთხელ რაღაც საქმისთვის მე მომიხდა გადასვლა ჩემი სოფლიდან მეორე სოფელში, რომელიც მდებარეობდა სულ არა უმეტეს ოთხის ვერსისა ჩვენი სოფლიდან. მაგრამ უნდა კი მოვახსენოთ, ამ გზაში ერთი ვერსი ძრიელ საშიში ტყე გახლდათ: ამბობდნენ, რომ ეს ტყე სულ ეშმაკებიათ, ჰინკებით და ალებით არის საცეო. მეტადრე ჩვენ, პატარა ბიჭებს, როგორ შეგვეძლო გაგველო აქლამე, ექვსი საათის შემდეგ; არც დიდებში იყენენ ისეთი თივა-განწირულნი და მხნეები, რომ ამ ტყეში გაეხდნათ გავლა. მინ იცის, რამდენ რამეებს ლაპარაკობდნენ ჩვენ სოფელში იმ გზაზედ: „საწყალი ზოგიელა იქინე გაღირაო! უმეტურ თინათინს იქინე დახედენ ჰინკები და შე მალესო!“ და სხვა და სხვა. მაგრამ ჩემს საქორეობამ ესენი არცერთი არ მომაგონა.

სათის შეიღზე გაქცულე ცხენი, გადულე ქი იმ ხსენებულს გზაზედ და ჩავედი აღრიანათ ჩემ ნაცნობ კაცთან. როდესაც ჩემი საქმე შეიასრულე და დაებრუნდი შინსაკენ, იქნებოდა ღამის საათის ათი. მოგედი ტყეში; აქ ჯერ მომიგმა ტურის ჰუიელი და თან მგლის ლუილი; ეხლა კი ამგებუბა თავზედ თმა და ამიკახცხდა ტანი; მაგრამ რა მექნა? უნდა წავსულიყავი; ეშმაკები, ჰინკები და ალეებიც ეხლა მომაგონდა! რამდენიმე მინუტის შემდეგ ვხედავ, ერთი გრძელ თიანი ალი გაღამიდა წინა და ცხენიც გამიჩერა. მე იმედი გარდამიწყდა, ეს არის ჩემმა აღსასრულმა მოღწია მეთქი; მაგრამ კიდევ გული გავიმაგრე. მიფიქრე: ორიოდვე მათრახს უჭირებ ჩემ ცხენს მეთქი, ავება ცხენს ფეხები დაეანძრვიინო და თან ზედ აღზედ მივადრე, ალი

ავებ შევაშინო და გზა მომცეს მეთქი? იმდენათ გონება-წართმეული არ ვიყავი ჯერ კიდევ შიშისაგან, რომ ესეც არ მეფიქრებინა. ღღერდებოდა გაქეთ, უჭირე ჩემ ცხენს საბოლოდ მათრახი. რაკი კანი აუწყა, იმან იკადრა გადახტომა, და გრძელ თიან აღზედ მივადრე, დიდის ყვირილით და ლოცვით: „ღვალახეროს სამასსამოც და ხუთმა წმინდა ბორობი, შენ დაწყველილო, გაქრი აქედგან!“ ამ ლოცვას ძლიერ ხშირათ ვიმეორებდი, რადგანაც გავონილი მქონდა, ეგ სიტყვები ყველაზე უფრო მიშველიდა...

მაგრამ ალი დგას კიდევ ჩემ წინ და არ ინძრევა. პიდე წმინდა ბორობის ყვირილით ჩაუეცე თვალები და, ღმერთო ჩემო, რა დაეინახე! ჩემი შემშინებელი, ალი კიარა, ტყის დიდი შავი ჯირკი გახლდა!...

მაგრამ ჩემ ცხენს რისღა შეეშინდა? ბოროლს ესეც ავხსენი: შიშისაგან თურმე ცხენის სადღე ისეთ ნაირათ მოეწიე, რომ ცხენი მევე გაეჩერე, და არა აღმა.

შემდეგ ამისა გავაქანე ცხენი დარეტიანებულმა და სრულებით დაქანცული შიგედი შინ. მრთი საათის შემდეგ მე გამაციე და მეგრე გულიც წამივიდა. ჩემმა მშობლებმა შექნეს ფაცა-ფუცო და წივილ-კივილი. მთმც მე იმათ ევლაპარაკებოდი და იმედს ვაძლეედი, არაფერი არ მიშავს და ყოველივე ჩემი შემთხვევები უამხე და უმტყიცებდი, ეს შიშისაგან მომივიდა და არ მინდა ექიმი მეთქი, მაგრამ ჩემი ლაპარაკი სულ ამაო იყო: მომიყენეს სოფლო ექიმი და ყოველივე ჩემი შემთხვევები უამხეს მას. სოფლიმ ჩემი ავთმყოფობა იმათ აუხსნა, რომ „მავს გულ-მუცელში ეშმაკი ჩაძრობია; დაუყვირია თუ არა მაშინვე ეშმაკი პირში ჩაფრენია და გულზე ამოჯდომია, მერე ჯირკათ ჩვენებიაო. მთ ნების მომცეთ, შემიძლია მაგის მორჩენა და ცდილი წამლებითაო, მხოლოთ ამ პირობით, რომ ოცი მანეთი ამ თივით უნდა მომცეთ წამლის შესახებათ მოპინდებლოა.

რა საკვირველია, ჩემი მშობლები თანახმა გაუხდნენ და მისცეს ოცი მანეთი, ოღონდ კი მე იმას მოვერჩინე.

მრთი საათის განმავლობაში მოვიდა სოფლო და მოიტანა სამკურნალო წამალი.

— აბა, შეილო, მიირთვი ეს წამალი ყოველ დილ-დილით; ძალიან უებარი წამალი არის, სხვა და სხვა წამლებიდან შეხვეებულის აი! მაშალო კაბის კალთიდანა წამლით სავსე მოზდილი სტაქანი.—ამ წამლით ძალიან ბევრი მომიჩინია, ახლა ეს დალიე სულ, ხვალ დილით სხვას მოგიტან.

— არა, დედა, ვინ მოგატყუა! მე საწამლო არა მიჭირს რა! მართალია, მე გამაციე და გულიც წამივიდა, მაგრამ არა მიშავს რა, ის მე შიშისაგან მომივიდა, შიშს ბევრი რამ შეუძლია. მხლა ძალიან კარგათ ვარ, ასე რომ ჩემთვის წამალი საქირა არ არის.

— როგორ იქნება, შეილო? ეს წამალი მიირთვი, კარგი წამალია; თქვენა, თორემ სხვას ოცს მანეთს არ დაეჯერებოდი ამ ერთ ჰიქა (სტაქანი) წამალში, შენგან კი წამლის ფასიც არ მიჯდება.

— მართალს ბრძანებთ, მაგისთანა წამალს აფთიაქში არც ხუთ თუმანთ მოგვეცემდნენ... მაგრამ, რა ექნა, მე წამალი არ მიჭირება, კარგათა ვარ...

როგორღაც ჩემ ექიმს, სოფლოს ჩემი სიტყვები არ მოეწონა; გაბრაზიანებული მომშორდა და ჩემს მშობლებს მიმართა; ისინი დარწმუნა იმან, რომ ეშმაკი წამლის სმის ნებას არ მძლევეს. მოტახანს შემდეგ ჩემი მშობლები და ექიმი ერთათ შემოვიდნენ ჩემთან და ერთი ხმით ყველამ თხოვნა დამიწყა, ღიდი ხნის ლაპარაკის, თხოვნის და ტირილის შემდეგ მე იძულებული ვიყავი და-

მელია ეს ძვირფასი წამალი, რომელიც მალე შეიტყობთ—რაც იყო... *ქარქიშვილი*

სამი დიდი სტაქანი ჩამაყრავს ეს წამალი და ბევრიც მაწვალეს, მაგრამ ეშმაკი მაინც მუცელში დარჩა და გარეთ გამოსვლას სულაც არ აპირებდა!... შემდეგ მე შევიტყე, რომ ეს წამალი იყო უბრალო განავალი სოფოს ქოფიკი ძილია!... აქ მე იმ წამლის ხასიათს და ზედმოქმედებას არ ავსწერ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მაგარი ავებულობისა რომ არ ყოფილიყავი, მერწმუნეთ, ის მე უთუოთ საიქიოს გამოსტუმრებდა.

ამის შემდეგ ჩემმა მკურნალობა უთხრა დედა ჩემს, მაგისთვის ძლიერ საქირა არის კარგი ოფლიო, ოფლი უსათუოთ გამოიყენს ეშმაკსაო.

მრ დღეს და ღამეს ერთ და იმავე ადგილზე, ვანვირათ ცეცხლი დანთებინა სოფლიმ ისიც კაკლის შეშით, რადგანაც კაკლის შეშა უფრო გაახურებს ხოლმე დედამწიფას; სამი ურები შეშა დაწვეს მწიფის გასახურებლად. მერე დღრონი მუგუზობები გარდაიღეს და წერილი ნაკერჩხლები კი გაუშვეს; გახურებულ დედა-მწიფაზე ჯერ დაფხის ფოთოლი დააფხენს, იმაზე ქოლოში დამიგეს, ქოლოზედ მე დამაწვენს, ზემოდან ოთხი საბანი და სხვა რამეები დამახურეს; რამდისინ დედაკაცები მოაგროვა სოფლიმ ზოგს ჩემი ფხი დააჭრინა, ზოგს თავი და ზოგს ტანი. შემდეგ ერთი კოკა წყალი შემომიღერა ქვეშ დგან, აღულდა წყალი და დენის ფოთოლი და მომენტო ცეცხლი... შაცხლავ დევიდერი და დედაპრე წაოვარდნა და გაქცევა მაგრამ, საუბედუროთ, დედაკაცებმა, ექიმის ბრძანებით, უფრო და უფრო დამჯორგეს, ასე რომ მე სრულებით განმრევა აღარ შემიძლო, წარმოადგინეთ ჩემი მდგომარეობა: ქვეშიდან ცეცხლი და წყალი ადუღებულნი, ზემოდან ოთხი საბანი და სხვა რამეები, კიდევ ზემოთგან რეა დედაკაცი, მთელ ჩემ ტანზედ დაწოლილი და შუაში მე...

აქ მე პირველ წამალზედ უფრო დამტანჯეს; პირველი წამალი ოცი სტაქანი რომ ჩამეყლაპა, მგონი მიჯობდა! მინამ შემეძლო ეყვიროდი, მაგრამ შემბოროლებელი არავინ იყო. მთმც დედაჩემს ჩემთვის გული ეწოდა და ორჯულ-სამჯერ მოვარდა ჩემდა საშეველით, მაგრამ სოფლო ექიმი სულგრძელებით არწმუნებდა, რომ ეშმაკი ოფლს გამოყავსო; ცოტა არ იყოს, შეაწუხებს, მაგრამ არა უშავს რაო. აშათის ბასობაში მე ხმაც მიმიწყდა და სწორით ის დრო იყო ქვეყანას ევსალმებოდი. ამ დროს მშობლიურმა გრძობამ დედა ჩემი შეფუცხუნა, მომვარდა გამწარიბული წივილ-კივილით, გადაყარ-გადმოყარა იქით-აქეთ დედაკაცი და სახნები და გამომათრევა ცეცხლიდან სრულებით ტან დასუხბული...

რალა ბევრი თივი შეგაწყინოთ, ამისთანა წამლობა ჩემთვის უნდა განგრძელებინათ, მინამ ჩემი ტანიდან ეშმაკს დანახვიდენ ამოფრენილს!... შემდეგ ამ წამლობას მე როგორც იყო დავაძრინე თივი და თუმცა ჯერაც არ ამოსვლია სხულებამ ეშმაკი, მაგრამ, ლეითთ, არა დამმართინა რა...

ბევრი არ მოჩინება ასე ადვილათ ამ ეშმაკის გამომყენას წამალს როგორც მე; მერეს დედ ტანჯედ და ხან სიცოცხლედაც დაუჯდება ხოლმე ჩვენი სოფლურა ბებრუხანავის წამლობა...

მ. ხელაძე

ზოლიდგან

(„ღროების“ კორესპონდენცია)

ჩვენი მხრისკენ ამ ქამად ძალიან კარგი ტარალები არის და ამის გამო სურამილამ მთილისამდი რკინის გზაზე მუშაობა მარჯვეთ მ-

დის: სურამს და სოფ. მარეის შუა სამუშაო
ვაგონები დაიარება, რომელზედაც სხედან
მუშები და აგრეთვე სხვა და სხვა სამუშაო
მასალები გადმოაქვთ; მარეიდან ზორამდი
გზა ტრავერსებსა და რელსებს აწყობენ.
რკინის გზის მამანაში მოსამსახურე პირები
დარწმუნებულნი არიან, რომ ამ თვის 25-მდე
სამუშაო ვაგონები ზორამდი იქნება, და
მთელი გზა კი, თქვითს, შემოდგომამდე
სრულიად მზათ იქნება. თქვენ თვითონ მიხე-
დებით, როგორი მოუთმენლობით უნდა მო-
ველოდეთ ჩვენ ამ დროს...

მ. მ.

მუთისიდან გვწერენ, რომ იმერეთის თა-
ვად-აზნაურობას ერთი პეტერბურლის ბანკი-
საგან მოხსნისა წინადადება, რომ თქვენი ბან-
კის ფულები ჩვენ ბანკთან შევართოთ და
ერთად წაიყვანოთ საქმეო.

რას ნიშნავს ეს ამბავი?... ნუ თუ მართლა
იქამდე მივიდა საქმე, რომ ჩვენ საკუთარი ბან-
კის გახსნის იმედი აღარ უნდა გექონდეს?...
* * *

ჩვენ ვაფიქრობთ, რომ, რადგანაც ტყიბუ-
ლის მადნის გაყიდვებზე დანიშნულ ვადაზე
ვერ დაშტკიცებულა ნოვოსელსკისათვის ნას-
ყიდობის წერილი, ამის გამო ნოვოსელს-
კის ვეკილს, უფ. პოლტარაკის, საჩივარი
შეუტანია მუთისის ოლქის სასამართლოში
და ჯარიმას (40,000 მანეთს) და ბეს (12,000
მან.) დაბრუნებას თხოულობს თურმე. ნოვო-
სელსკის მინდობილობით, უფ. პოლტარაკ-
ის თხოვა ოლქის სასამართლოსთვის,
590, 591, და 595 მუხლების ძალით სამო-
ქალაქო გამსაჯულების წესდებისა, საქმის გან-
ხილვამდე უნდა დაეკრძალა დაადოთ ტყი-
ბულის მამულის გაყიდვასო (наложить за-
прещение на Тибульское имущество). მაგრამ ჩვენ
ვაფიქრობთ, რომ ოლქის სასამართლოს უარი
უთქვამს ამ თხოვნაზე.

ამ საქმის განხილვა მუთისის ოლქის სა-
სამართლოში მოხდება მომავალ იანვრის თერ-
თმეტს. ტყიბულის მამულის მემკვიდრეების
მხრით ექცევათ უფ. ნ. ნიკოლაძეა.

მართა ჩვენი თანამშრომელი დავებრდა ამ
ძლიერ საინტერესო საქმეზე უფრო დაწერი-
ლებით მოლაპარაკებას მკითხველებთან.

* * *

„მოსკოვის უწყებებში“ (№ 263) დაბეჭ-
დილია შემდეგი ახიარებული ამბავი, რომელ-
საც ამ გაზეთში მდესილად იწერებთან:

„წარსულ ოქტომბრისა და ნოემბრის გან-
მელობაში აქაურ ხომალდებს გადაჰყავდათ
ჩვეულებრივად ძველსაში ჯარები ხერსონი-
დამ და ტავანროვად. მართა ამ ხომალდთა-
განი ოქტომბრის 25-ს მიადგა შოთს, მაგრამ
რადგანაც ღელეა იყო, რიონში ვერ შევიდა
და დაბრუნდა ბათუმისკენ, კარგი ტაროსის
მოსაცდელათ. ხომალდმა მიმართა პირდაპირ
ბათუმის ნავსადგურისაკენ, სადაც ამ დროს
მსმალთა და უცხო ქვეყნების რამდენიმე
სხვა ხომალდებიც იყო გაჩერებული. ჩვენ ხომალ-
დზე 600 სალათი იყო. ღაინახეს თუ არა უც-
ხო ქალაქი, ისინი იმ წამსვე გამოვიდნენ პა-
ლუბაზე და დაუწყეს ცქერა. შეკრათ ჩვენი
პარახოლიდამ შეუნიშნავთ, რომ ნაპირზე და-
წკრიდნენ მსმალთა სალათები და ხალხიც
გროვდებ; კაპიტანმა შეამჩნია ნაპირზე ჩვენი
კონსული რომელიც ხელს იქნედა, ყვიროდა
და რალას ანიშნებდა ჩვენ ხომალდს. ბოლოს
გაიგეს, რომ კონსული ანიშნებდა ჩვენ ხომალ-
დის კაპიტანს, ნავსადგურში ნუ შემოხვალ,
მანდვე ჩავდევ იაკობი და გიგრილი. ძაპი-
ტანს გაეჩერებია ჩვენი ხომალდი, მაგრამ ვერ
გაეგო, რას მოასწავებდა ეს ამბავი. სიტუ-
ხანს შემდეგ მოვიდა ნავით თვითონ რუ-
სის კონსული და აუხსნა კაპიტანს საქ-
მის გარემოება. აღმოჩნდა, რომ ორი დღის
წინათ ერთს იქაურ ვაჭარში დაბეჭდილი ყო-

ფილა ამბავი, რომ მსმალთა ბათუმს რუსეთს
უთმობს და მოკლე ხანში აქ რუსის ჯარი
შემოვა და ქალაქს დაიჭერსო. არ ეცი, და-
იჯერა ბათუმის ფაშამ ეს ამბავი, თუ არა; მა-
გრამ ეს კი მართალია, რომ იმის ბრძანება
იყო, „ხომალდი ნაპირზე არ მოაყენებოთო-
და თუ მოადგება „ძალით“ ეცდები, რომ
რუსის ჯარი ნაპირზე არ გამოვიდესო. შემ-
დეგ მე შევიტყე, რომ ჩვენ კონსულს ამ გან-
კარგულებაზე უკმაყოფილება განუცხადებია.
მესამე დღეს, 27-ს, ჩვენ ხომალდს მისცეს
ბათუმის ნავსადგურში შესვლის უფლება, მა-
გრამ ამ დღეს კარგი ტაროსი დამდგარა და
ხომალდი შოთისაკენ გამოგზავნებულა.“
* * *

მკითხველმა იცის, რომ წელს სპარსეთში
საშინელი შიმშილობა იყო. ამის გამო სხვა-
თა შორის იქ ჩვენი მხრიდანაც გაიტანეს
წელს პური; ძალიან ბევრი პური ბაქას
გუბერნიად გაუზიდავთ სპარსეთში, ასე რომ
ამჟამად პური აქაც გაძვირებულა.
* * *

რუსეთი

„ს. პეტერბურლის უწყებებში“ ერთი კორ-
რესპონდენტი იწერება შინაგანდამ, რომ
ამ ჟამად აქაური მცხოვრებლები მომავალი
სემისთვის დეპუტატების ამორჩევაში არიან
გართულნი, იმ სემისთვის, რომელიც, შმა-
ლდესის მანიფესტით, იანვარში უნდა შეი-
კრიბოს ბელსინგორსს. მსვე კორრესპონ-
დენტი იწერება, რომ ამ სემზე ანუ პრეზიდენ-
ტის შირის უსტავე და სამოქალაქო წეს-
დებულებაზე იქნება მოლაპარაკება. ახალს
სამხედრო კანონებზე პრეზიდენტი არ იქნება
სჯაო, ამიტომ რომ ჯერ პეტერბურლის კომი-
სიასაც არ გაუთავებია ეს საქმე მთელის რუ-
სეთისთვის. შინაგანდამი თაის კანონები
და თაის ძველი სამოსამართლო წესი აქეთ,
და წელს არც ამათ მოსაზრებაზე და ახალი
რეფორმების შემოღებაზე არ მოილაპარაკე-
ბენ კრებაზე, რადგან სხანსა, რომ მცხოვ-
რებლები თაის ძველი კანონებით ემყოფილ-
ნი არიანო.
* * *

1858 წელს შემდგარა პეტერბურლი ერთ-
თი საზოგადოება, სახელიად: „პეტერბურლის
მუშა-ხალხისა და გაქირებული მცხოვრებლე-
ბისათვის სადგომის გამაუმჯობესებელი საზო-
გადოება.“ ამ საზოგადოების დანიშნულება
ის იყო, რომ ღარიბებისთვის აემუხებია სა-
ხლები, სადაც იავ ფასად შესძლებოდათ
იმათ სადგომების დაქირავება. ცამეტი წლის
განმავლობაში ამ საზოგადოებას მხოლოდ
185,000 მანეთი შეუკრებია აქციებითა და
ამ ფულებით ერთი სახლი აუშენებია, რომ
მელშიაც 160 სადგომია თურმე და რომელ-
შიაც მხოლოდ გადამდგარი ჩინოვნიკები დგა-
ნან. რამოდენიმე წელიწადია მას აქეთ, რაც
საზოგადოების წევრები აღარ იკრიბებიან თურ-
მე და ყურს აღარ უგდებენ ამ საქმეს. „1858
წელს ვინ იფიქრებდაო, სწორედ „ს. პეტერ-
ბურლის უწყებებში“ რომ ამისთანა კეთილი განზ-
რახებით დაწყებულ საზოგადოებას ასეთი უ-
ხეირო დასასრული ექნებოდაო?“
* * *

მართს რუსულ ვაჭარს გაუგონა, რომ
მაღე ისეთი კანონი გამოვა, რომლის ძალი-
თაც ხარჯის გადაუხდელიობისათვის გლეხ-
კაცს მხოლოდ კანონით აღნიშნული ნაწი-
ლი მამულისა და ქონებისა უნდა გაეციდოსო.
* * *

წარსულ ნოემბრის 26-ს იყო საზოგადო-
სხდომა იმ საზოგადოებისა, რომელიც მარშან
შესდგა პეტერბურლს და რომელსაც ჰქვია
სახელიად „ტენზოლოგიური ინსტიტუტის სტუ-

დენტების დამხმარებელი საზოგადოება.“ ამ
სხდომაზე წაიკითხეს თაის წლიური მოკმე-
დების ანგარიში, რომლიდანაც ეტყობუ-
ლობთ, რომ წლიდან წლი წლის განმავლო-
ბაში საზოგადოებას 11,040 მანეთი დაური-
გებია ღარიბი სტუდენტებისთვის. სულ 396
სტუდენტი მიუღია შემწეობა ამ საზოგადოე-
ბისაგან: ზოგს დაუბრუნებლათ ეძლევა ფუ-
ლები და ზოგს კი დროებით, სესხით. ამ ჟა-
მად საზოგადოების კასაში 22,963 მანეთი
სძევს თურმე, რომლიდანაც 10,000 მანეთი
ერთ ვაჭარს შეუწირავს. საზოგადოების წვე-
რების რიცხვი 275 კაცია, რომელთაც ყოველ
წელიწადს, შემდგომისა დაგვართ, შეაქეთ
დანიშნული ფულები.
* * *

შულებით შემწეობას ვარდა, ეს საზოგა-
დოება სხვაგვარად უწყობს ხელს ღარიბ
სტუდენტებს, მაგალითად უროკებს და სხვა
სამუშაოს დაეძებს იმათთვის, რომელსაც კურსს
გათავებენ, ადგილს უშოვნის და სხვა. ამ სა-
ზოგადოების წევრები უპეტესი ნაწილი თეი-
თონ ტენზოლოგიური ინსტიტუტის პროფე-
სორები არიან თურმე. მაგრამ ბევრი სხვებიც
ხელს უწყობს ამ საქმეს. რადგან იცინა, რომ
პრაქტიკული ცოდნის მქონე კაცები ყველა-
ზე უფრო სჭირია ამ ჟამად რუსეთსა.
* * *

ამჟამად, ამისთანა საზოგადოების შედგე-
ნას პეტერბურლის უნივერსიტეტის პროფე-
სორებიც აპირებენო.
* * *

ჩვეულებრივად წელსაც, 26 ნოემბერს,
იყო პეტერბურლი წმ. ბიორგის ჯვრის
კავალერების დღესასწაული. წლიდან წლი
სასწაული მით უფრო შესანიშნავი იყო, რომ
იმას რამდენიმე შესანიშნავი პირები დაესწ-
რნენ: 23 ნოემბერს მოვიდნენ პეტერბურლს
მისი მშალდსობა პროსიის პრინცი ჟიოდ-
რინ-ბარლ, მრავი მოლტკე, დენერალი მერ-
დერი, ღენერალი შოპინოვი, და სხვა პირები
რომელთაც უკანასკნელ საფრანგეთთან ბრძო-
ლაში გამოიჩინეს თავი. რუსულ ვაჭარებში
დაწერილებით არის აწერილი—თუ როგორ
იღვასასწაულეს პეტერბურლში ეს დღე და
რამდენი ცერემონიით ყოფილა ამ დროს იქ.
26 ნოემბერს 400 ბიორგის კავალერის მე-
ტი სასახლეში ყოფილან სადღესასწაულზე დაპეტე-
ბული და ამ დროს ხელმწიფე იმპერატორს
შერმანის იმპერატორის, მილდელმის, სად-
ღვერძელო დაუღვივა, როგორც პირველი
ბიორგის ჯვრის კავალერისა. მს სადღვერძე-
ლო შემდეგი სიტყვებით გამოუთქვამს ხელ-
მწიფე იმპერატორს:
* * *

„მისი უდიდესობის იმპერატორის მილდელ-
მის, წმ. ბიორგის ორდენის უფროსის კავა-
ლერის, წმ. ბიორგის მხრის მხრის კავალერების
სადღვერძელო, რომლის ღირსეული წარმო-
მადგენლებს მე სიამაყით ეხედავ აქ ოღეს
ჩვენში. მსურს და იმედი მაქვს, რომ მჭიდ-
რო მეგობრობა, რომელიც ჩვენ ვაჭარებს,
საუკუნოთ დაჩნება მომავალი არდემისა-
თვის, აგრეთვე ის ჩვენი ორთავე პირების
სამხედრო ძმობა, რომელიც მუდამ სამხსოვე-
რო დროიდან არსობს. ამში ეხედავ მე
საუკეთესო საშუალებას მეროპაში მშველო-
ბიანობის დატვისათვის და კანონიერი წყო-
ბილობისათვის.“
* * *

ამის შემდეგ პრინცი ჟიოდრინ-ბარლს აუ-
ღია ხელში სტაქანი და ჩვენი ხელმწიფის
სადღვერძელო დაუღვივა. ამ შერმანიდან მო-
სულმა სტუდენტებმა დახედეს პეტერბურლში და
მოსკოვში ყველაფერი, რაც სამხედრო მხრით
შესანიშნავი და ყურადღების ღირსი იყო. ნ
დევებიერს ისინი უკან უნდა დაბრუნებულიყ-
ვნენ.
* * *

რუსულ ჟურნალმა „მეროპის მოამბე“
(Вестник Европы) მიიღო „პირველი ვაჭარ-
თხილება“ (предостережение) შინაგანი საქ-
მეების მინისტრისაგან იმ სტატიისათვის, რომ
მელიც ნიჩაევის საქმის თაობაზე იყო ამ ჟურ-
ნალში დაბეჭდილი. პი ეს ვაჭართხილება:
* * *

„შინაგანი საქმეების მინისტრი, მიიღებს რა
მხედველობაში: რომ სტატიამ—„პოლიტი-
კური პროცესი 1869-1871 წ.“, რომელიც
„მეროპის მოამბის“ მეთერთმეტე წიგნშია
დაბეჭდილი, გამოთქმული არია ის აზრი,
ეთომაც მმარებლობისაგან შევიწროება იყოს
იმის მიზეზი, რომ ახალგაზდა კაცებმა მიიღეს
მონაწილეობა საიდუმლო საზოგადოებაში;
მიიღებს რა კიდევ მხედველობაში, რომ
ამისთანა უკუღმართი განმარტება მმართვე-
ლობის მოქმედებისა აღძრავს იმაზე დაუნ-
დობლობას და გვიჩვენებს ჟურნალის მანე-

ბელ მიმართულობას—6 აპრილს 1865 წ.
კანონისა და ბეჭედის კანონების შემოქმედის
სამმართველოს გადაწყვეტილების ძალით, ის
შემდეგ განჩინებას სდებს: ჟურნალს „მერო-
პის მოამბეს“ გამოეცხადოს პირველი ვაჭარ-
თხილება, რომელიც პირდაპირ ამ ჟურნალის
გამომცემელმა და რედაქტორმა დეისტ-
ვიტელნი სტატკი სოვეტნიკმა სტასიულევი-
მა უნდა მიიღოს.“
* * *

მართა რუსის გამოჩენილი მდიდარა, ნარიშკინა,
ამას წინათ 400,000 მანეთი შესწირა ტამბოვეში
სამაწაფელბლო ინსტიტუტის გასამართავად. მათემბი
სწერენ ენლა, რომ უფ. ნარიშკინს 150,000 მანეთი
კიდევ შეუწირავს ამავე კეთილ საქმისათვის.
* * *

სამი წელიწადია, რაც პეტერბურლს დანი-
შნეს კამისია, რომელსაც რუსეთში სასოფ-
ლო შკოლების ვაჭარებების საშუალება
უნდა მოენახა. „ს. პეტერბურლის უწყებების“
სიტყვით, ამ კამისიას შეუდგენია ახალი პრო-
ექტი, რომლის ძალით იმ გუბერნიებში, სა-
დაც ჯერ ერობა არ არის შემოღებული
სასოფლო შკოლების გახსნა გუბერნიის საგ-
ლენ-კაცო კანცელარიებს ექნება მინდობი-
ლი. ათას მოსახლე გლეხზე თითო სასოფ-
ლო შკოლა უნდა გაიხსნას. სოფლების ამორ-
ჩევა შკოლების გასახსნელათ და თვითონ
შკოლების ყურისგდება მომრიგებელ შუა-
მელებს და განაკუთრებულ ინსპექტორებს
მიენდობა. თითო შკოლისთვის დანიშნული
იქნება წელიწადში 230 მან.: 180 მანეთი
საგნების მასწავლებლებისთვის, 25 მანეთი
სამლო წერილის მასწავლებლებისთვის და
25 მანეთიც სხვა და სხვა საქმეო ნიეთების
სასყიდლათ. თვითონ შკოლების აშენება,
შეშა, სანთელი და მოსამსახურის დაქირავება
სოფლებმა უნდა იქონრონ. ამ ხარჯისათვის
გლეხებს დაეღებათ ცალკე გადასახადი და
რაც დააკლდება, სახელმწიფო ხაზინიდან
უნდა შეიგას.
* * *

ამ პროექტის თაობაზე „ს. პეტერბ. უწყ.“
ამბობს, რომ ზოგიერთ გუბერნიებში სოფ-
ლები ძლიან მოზარებით არიან ერთი მეო-
რეზე და ამის გიშო საფიქრებელია, რომ უ-
მეტესი ნაწილი გლეხ-კაცებისა ვერ ისარგებ-
ლებს ამ შკოლებითაო. თვითონ შკოლებსაც
ერთობ ოფიციალური ხასიათი მიეცემაო, რად-
გან გლეხები იმათ გახსნაში და გამგობაში
არაერთარ მონაწილეობას არ იღებენო.....
* * *

ამ ჟამად პეტერბურლის მედიკო-ხირურგიის
აკადემიამ 24 ქალი დაიარება თურმე და
ანატომიას (კაცის სხეულის აგებულებას) სწა-
ვლობს. სანამ სჩენოზი იყო ამ აკადემიაში,
ქალები ამის ლექციებზედაც დაიარებოდნენ
და ფიზიოლოგიას სწავლობდნენ, ახლა კი
მარტა ბრუბერის (ანატომიის) ლექციებს სმე-
ნულობენ. ნოემბრის 29-ს პროფესორს ბრუ-
ბერს ეგზამენი დაუტყრინებია ამ ქალებისთვის
და, როგორც ვაჭარებში სწერენ, არცერთ
იმათგანს ვაჭარებზე ნაკლები ცოდნა ანატომი-
ისა არ გამოუჩენია. ამ ვაჭარებში ყველა-
ზე უფრო შესანიშნავი ის არისო, ამბობს
ერთი ვაჭარი, რომ ქალებს, რომელთაც
ლათინური ენა არ უსწავლიათ, სრულიად არ
გასჭირებიათ ანატომიის ტერმინოლოგიის შე-
თვისება, ე. ი. აღამიანის სხეულის სახელე-
ბის ლათინურათ დასწავლა.
* * *

უცხო ქვეყნები

საშარანეთი

დევებრის ოთხს გაიხ ნა მერსალში საფრან-
გეთის ნაციონალური ძრების სნდომები. მან-
სნისათანავე რესპუბლიკის პრეზიდენტს თავის
გისტოლვე ნაციონალური ძრებისადმი უნდა
წაეკითხა—და ყველანა მოუთმენლათ მოველო-

დენ — აბა რას იტყვის ტიერი თავის ეპისტოლესში იმ საგნებზე, რომელზედაც მთელი საფრანგეთის ყურადღება არის ეხლა მიქცეული. მაგრამ ყველანი მოსტყუდენენ: რათხი საათის განმავლობაში ჰკითხულობდა 7 დეკემბერს ტიერი თავის ეპისტოლეს, რომელიც 60 თაბანი არისო, მაგრამ იმაში ერთი სიტყვა არ უთქვამს თურმე არც მმართველობის ფორმაზე, არც ახალი კონსტიტუციის თაობაზე, არც რეზიდენციის პარაფში ვადმოტანაზე და არც სხვა საგნებზე. ყველაზე უფრო მომეტებული იმან ილაპარაკა საფრანგეთის ფინანსებზე და ჯარზე. ტიერი ამტკიცებდა, რომ ჩვენი ფინანსები ძალიან კარგ მდგომარეობაში არისო. ჯარის თაობაზე იმან სთქვა, წარსულმა ომიანობამ დაგვიმტკიცაო, რომ ჩვენი ჯარი ცუდად არის გამართული და ამიტომ სამხედრო ნაწილში ცვლილების მოხდენა აუცილებელად საჭირო არისო. საფრანგეთის ეხლანდელ მდგომარეობაზე ტიერმა სთქვა, რომ ყველაზე უფრო ეხლა საფრანგეთს მშვიდობიანობა და პარტიების დამშვიდება ეჭირებაო; მმართველობა კარგად ასრულებს თავის ვალდებულებასაო. პრეზენტები (ლუბერნატორები) ყველგან პატიოსანი და მცოდნე კაცები არიანო. შცხო სახელმწიფოებთან ყველასთან კეთილი განწყობილება და მეგობრობა გვაქვიაო. ჩვენი მეცადინეობა ეხლა მხოლოდ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ეკონომიური და ზნეობითი მხრით ავმალდეთ და ძველ დიდებას შევადგინოთ.

ამ ეპისტოლეში ნაციონალურ ძრებას განსაკუთრებით ის ადგილები მოეწონა, სადაც ტიერი ძველ სისტემას, ნაპოლეონის დროს, აძგებდა და ამბობდა — ჩვენი უბედურება იმის ბრალიაო. მაგრამ როდესაც იმან დაიწყო ლაპარაკი ეხლანდელ პრეზენტებზე და როდესაც სთქვა, რომ ისინი კარგად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებასაო, ძრების უმეტეს ნაწილს ეს სიტყვები არ მოეწონა, რადგანაც პრეზენტების უმეტესი ნაწილი რესპუბლიკელები არიან და ძრების კონსერვატორულ დეპუტატებს ძალიან გულით უნდათ იმათი გამოცემა და მათ ადგილზე თავის მომხრეების დაყენება.

რადიკალურ რესპუბლიკელებსა და გავითებს (სხვათა შორის მამეტას) ძალიან არ მოეწონათ ის, რომ რათხი საათის განმავლობაში ტიერს ერთხელაც არ უხსენებია სიტყვა „რესპუბლიკა“, თითქო იმას ეშინოდა ამ სიტყვისაო.

ამ ტიერის პირველმა ეპისტოლემ არცერთი პარტია არ დააკმაყოფილა. ყველანი ამბობენ, რომ რასაც მოველოდით, ის ვერ გავიგონეთო. კონსერვატორები იმისთვის დარჩნენ უკმაყოფილოთ, რომ ტიერი ეხლანდელი მმართველობის კმაყოფილია, თითქო არ უნდა შესცვალოს, და ამათ კი მონარხის დეფუძენა ჰსურთ. რადიკალური რესპუბლიკელები, როგორც ზევით ვთქვით, იმან გაცხარა, რომ რესპუბლიკა არ უხსენებია. ამას გარდა, თავის ეპისტოლეში ტიერმა სთქვა, რომ მმართველობის ფორმის დაფუძნება და სხვა ყველაფერი ნაციონალურს კრებაზე არის დამოკიდებულიო; ეს უკანასკნელი სიტყვები რადიკალურ რესპუბლიკელებს იმითომ არ მოეწონათ, რომ ნაციონალურ ძრებაში უმეტესი ნაწილი მონარხიელები არიან და იმათ თუ მიანლა კაცმა საქმე, ისინი, უეჭველია, საფრანგეთის ტახტზე რომელსამე ორლეანის პრინცს დასმენ. — ყველანი მოელოდნენ, რომ ტიერი განსაზღვრავს თავის მომავალ პოლიტიკას და ცხადად იტყვის — თურა გზაზე დადგება ის და როგორ რეფორმებს შეუდგება, მაგრამ არ აუსრულდათ ეს მოლოდინი.

მთიი სიტყვით, საფრანგეთში ჯერ ისევე დახლართული არის საზოგადო საქმეები და

ყველა პარტიებს თავისებურად ჰსურთ განაგრან საფრანგეთის საქმეები და ჩაიგდონ ხელში იმის მომავალი ბედი. უკანასკნელი ძრების სხდომებიდან კი ცხადად სჩანს, რომ ყველაზე უფრო მომეტებული ძალა ამ პარტიებში კონსერვატორებსა და მონარხიელებსა აქვთ, რადგან იმათ ყველაზე ბევრი წარმომადგენლები ჰყავთ საფრანგეთის ეხლანდელს ნაციონალურს ძრებაში. მაგრამ რესპუბლიკელებიც ბევრი არიან; იმათ მხარეზე ამას გარდა ზნეობითი ძალა არის; ასე რომ ჯერ არ შეიძლება გადაწყვეტით თქმა — რომელი პარტია გაიმარჯვებს საფრანგეთში და რომელს ჩაუვარდება ხელში იმის მომავალი სეე: ნამდვილ რესპუბლიკელებსა, თუ მონარხიულ კონსერვატორებს?

ტიერის ეპისტოლეს წაკითხვის შემდეგ დეპუტატებმა და მინისტრებმა რამდენიმე წინადადება შეიტანეს ძრებაში დასამტკიცებლათ. სხვათა შორის რეზიდენციის გადმოტანაზე ყოფილა მოლაპარაკება, მაგრამ შინაგანი საქმეების მინისტრს, ძაზიმირ პერიეს უთქვამს, რომ ამაზე ლაპარაკის დრო ჯერ არ არისო. მართს დეპუტატს შეუტანია წინადადება, რომ ორლეანის პრინცებს დაუბრუნდეს მამულები, რომელიც ნაპოლეონმა წართვა იმათ 1852 წელსაო. მაგრამ ძრება არც მათ დათანხმებულა. სახალხო განათლების მინისტრს, შულ-სიმონს, ახალი პროექტის შეტანა სდომებია, რომლის ძალითაც საფრანგეთში პირველ-დაწყებითი სწავლა უფასო და ვალდებულებითი უნდა იყოს; მაგრამ ტიერს უთქვამს, ჯერ მოვიცადოთ, ენახოთ როგორი აზრის არის ამის თაობაზე კრება და მერე შევიტანოთო. იუსტიციის სამინისტროში ამხადებენ კანონის პროექტს, რომლითაც ყველა დამნაშავეები, რომელნიც კაცის ცელება და ცეცხლის წაკიდებაში არ არიან გარეუღნი უნდა განთავისუფლდნ სატუსალოებიდან.

ამას წინათ ნაციონალურმა ძრებამ დანიშნა კამისია, რომელსაც ახალი კანონები უნდა გამოეცა ამორჩევების (კენჭის ყრის) თაობაზე. ბაზეთებში სწორენ ეხლა რომ, ამ კამისიამ გაათავა თავის მუშაობა და შემდეგი კანონების პროექტის წარდგენას უპირებს ნაციონალურ ძრებასაო: დეპუტატების ამორჩევაში მონაწილეობის მიღება მხოლოდ იმ პირებს შეუძლიანთ, რომელნიც 25 წლისანი არიან და მთელი წელიწადი უცხოერაით ერთს იდგის. სამხედრო სამსახურში მოსამსახურე პირებს კენჭი არ ექნებათ.

— პეტერბურლის გავითებში შემდეგი ტელეგრამმა არის დაბეჭდილი: ნაციონალური ძრების უმეტესმა ნაწილმა სთხოვა ორლეანის (ორლეანის) გერცოლს, რომ, თუ ეინიცობაა ტიერმა თავი დაანებოს სამსახურს, ან მოკედეს ის, შენ მიიღე საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტობაო. — მარცხენა მხრის დეპუტატები თავის მხრით შემდეგი წინადადების შეტანას აპირებენ ნაციონალურ ძრებაში: „თუ ეინიცობაა, ტიერი მოკედა, ან იძულებული შეიქნა თავი დაანებოს პრეზიდენტობას, მაშინ იმის ადგილზე ძრების თავის მჯდომარე (მრევი) უნდა დაინიშნოს რესპუბლიკის პრეზიდენტო.“

იტალია

იმ სახელმწიფოებში, სადაც კონსტიტუციური მმართველობა არის, დაწესებულია, რომ პარლამენტის განხსნის დროს ხელმწიფემ სიტყვა უნდა უთხრას ხალხის წარმომადგენლებს. ამ სიტყვაში იმან უნდა მოახსენოს თურა მდგომარეობაშია სახელმწიფო, როგორი განწყობილება აქვს იმას უცხო ქვეყნებთან, რა და რა ცვლილებები უნდა მოხდეს და როგორი ახალი კანონები უნდა დაწესდეს თვითონ ამ სახელმწიფოში. ამ სიტყვას

„ტრონის სიტყვა“ ჰქვია. შემდეგ, სანამ სხვა საქმეებზე დაიწყებდნ მოლაპარაკებას, პარლამენტმა უნდა ამოარჩიოს კამისია და ამ ტრონის სიტყვის პასუხი უნდა მიართვას ხელმწიფეს. „ტრონის“ ერთ წინანდელ ნომერში მოყვანილი იყო შემოკლებით ტრონის სიტყვა, რომელიც იტალიის კოროლმა წარმოსთქვა რომში პარლამენტის განხსნის დროს. შორე კვირას კამისიას წარუდგენია კოროლისთვის ტრონის სიტყვის პასუხი და ამ დროს მიქტორ მმანუელს შემდეგი სიტყვა უთქვამს კამისიისათვის: „მე სრულიად ბედნიერად ვგრძნობ ჩემ თავს, ამიტომ რომ იტალიას თავის უფულოთადესი ნაციონალური სურვილი შეუსრულდა: იმან მოიპოვა ნაციონალური ერთობა. ამისთვის მადლობის და პატივისცემის ღირსი უფრო თვითონ ხალხი და იმის წარმომადგენლები არიან, ვიდრემ მე.“ ბოლოს კოროლმა სთქვა: „იტალიის ერთობა ეხლა ისე მკვიდრეთ არის დამყარებული, რომ იმას ვერაფერი ვერ შეარყევს.“

— უკანასკნელ დროს გავითებში სწორდნენ, ვითომც რომის პაპს რომიდან სხვაგან სადმე გადასახლება უნდადო. მაგრამ ამ საგანზე ეხლა არაფერს აღარ იწერებია. ამბობენ მხოლოდ, რომ პაპი ჯერ-ჯერობით რომიდან ფეხის მოცეცას არ აპირებსო და შემდეგში გარემოებას დახედავს და ისე მოიქცევაო.

ბელგია

ბრიუსელში არეულება მშვიდობით გათავდა. დამშვიდების წინათ პირველი მინისტრი ღანეტანი, იყო თურმე ბელგიის კოროლთან და მოახსენა, რომ, თუ ჯარი არ დაეიხმარეთ, ჩვენ (ე. ი. მინისტრები) ხალხის დამშვიდებას ვერ ვეკისრებთო. კოროლმა პირდაპირ უთხრა თურმე იმას, რომ მე არ მინდა ხალხი დაეხლო და თუ თქვენ ვერ ეკისრებთ იმის დამშვიდებას, სამსახურს თავი დაანებეთო. ამის შემდეგ ღანეტანსა და ყველა მინისტრებს კოროლისთვის სამსახურიდან დათხოვნის ქალაღი მიუციათ და კოროლის ბრძანებით ახალი სამინისტრო შესდგა. დედეკერი ხომ აღრევე გადაყენეს სამსახურიდან. ამ ნარათ ხალხს აუსრულეს თავის კანონიერი მოთხოვნილება და ისიც თავის მხრით დამშვიდდა.

თხვეა, იმ წამსვე გამოიძება მოვხდინე და ჩუქდა სამწუხაროთ, დაერწუნდი, რომ ეს მხარე თითქმის სრულიად მართალი ყოფილა. ამ ნარათ თქვენმა სტატიამ მომცა მე საშუალება თავიდავე ვგრძოვანი განკარგულმა მომხდინა პაროლოგის შკოლაში. ამის გამო ჩემ გულითად მადლობას გძღვნი ამ სტატიის დაბეჭდვისთვის და უმორჩილესად გთხოვთ — გადაეცით თქვენს თანამშრომელს, რომ შემდგომაც ყოველთვის შემატყობინოს თუ ამისთანა რამ შემთხვევები გაიგოს ჩემს შკოლაზე. მე მით უფრო მადლობით მივიღებ ყოველ შენიშვნას, რომ ამ ნარათ გამოადვილდება ის ვალდებულება, რომელიც მე კისრზე მაწევს. — შკოლების ზედამხედველი დ. ს. ბეზობრაზოვი.“

რა კარგი იქნებოდაო, ამბობს ამ წიგნის თაობაზე ერთი რუსული გაზეთი, რომ ყველას ასე კარგად ესმოდეს ჩვენში ბეჭდვის მნიშვნელობა, როგორც უფრო ბეზობრაზოვს ესმისო!

* * *

როსელს, რომლის ჩამოღობის ამბავი წინანდელ №-ში ავჭერეთ, მამა, დედა და ორი და ჰყავს. როსელი ნოემბრის 28-ს ჩამოაღვრეს, დღის 7 საათზე, და დღემამ კი არაფერი არ იცოდა თურმე. პი როგორ გავიგეს იმათ ეს ამბავი: როსელისს ყოველ დღოს რძე დაქვანდა თურმე ერთ სოფელს. ჩვეულებრივად 28-საც მივიდა იმასო. როსელის მამამ ჰკითხა:

— ახალი ამბავი ხომ არა იცო რა?

— ახალი ამბავი? ყველანი ვიღაც ორი საწყალი დამნაშავეს დახრებზე ლაპარაკობენ...
 მოხუცებულ როსელის მამას ფერი ეცვალა. უცრათ გარდაცვა ტანს და პასტორთან აპირებდა წასვლას, რომელიც ყოველ დღე ხედავდა იმის შვილს საყურობილში. მაგრამ ამ დროს თვითონ პასტორმაც შემოალო კარები.

— სოცალია ჩემი შვილი, თუ არა! მითხარით? მიამხა მოხუცმა.

— თქვენი შვილი ზეცაზე არის. აღონებულის მხით უთხრა პასტორმა და შემდეგ უამბო დახრების გარემოება. შუადღეზე საწყალი მამა საყურობილს ზედამხედველთან წავიდა და სთხრა, ჩემი შვილის ოთახში შემეშვიოთ. ნება მისცეს. იმან შეალო ოთახის კარები, მოხიდა ქული, დაიჩქა: იმ ლოგინის წინ, რომელზედაც რამდენიმე საათს წინათ იმის საყვარელ შვილს ეძინა და აქ დიდხანს თავდახრილი ბალიშზე სტროდა...
 * * *

ბაზეთებში მოყვანილია ერთი ახირებული შემთხვევა, რომელიც უფლოვიკო შილიბეს დროს დაშრონა ერთს გავთოს. სტატიების რიგზე დაწვობის დროს, შემოიდა და ერთის მაგივრად სულ სხვა ადგილი ჩაუსვათ. პი რა ახირებული აზრი გამოსულა ამის გამო: „პაროლმა მოიხმო სასახლეში ტიერი და სამინისტროს შედგენა მიანდო იმას. ტიერმა დაუშალა მის შილიბესობას და მოახსენა:“

— მე მხოლოდ ის მაწუხებს, რომ არ შემიძლია მოგიგრიხო კისერი, ვითარცა ინდაურსა.

რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ამავე გაზეთში დაბეჭდილი იყო:

„მამომძიებლებმა ბოლოს მოახსენეს პოტოჭერის მკვლელი. ის მიიყვანეს მოსამართლესთან, რომელსაც სამინელი უშვერი სიტყვებით დაუწყო ლანძღვა და გინება და ბოლოს უთხრა:“

— ღმერთი და ქვეყანა მოწამა, რომ ჩემ სიცოცხლეში მხოლოდ იმას ვსცილობდი, რომ ბეჯითად და ერთგულად მემსახურა თქვენი შილიბესობისა და ჩემი სამშობლოსათვის.“

ნარკვი

იმ ბოლოს სახალეში, რომელშიაც ერთ დროს ლონდონის გამოგენა იყო, მას შემდეგ თუ მუშებისთვის და თუ უფრო მაღალ საზოგადოებისთვის ზოგიერთი პროფესორები საპუბლიკო (საზოგადო) ლექციებს ჰკითხულობდნენ. ამავე შესანიშნავ სახალეში ახლა ლონდონის გამოჩენილი პროფესორები ქიმიის, ფიზიოლოგიის, ფიზიკის, ზოოლოგიის და სხვა ბუნებითი სფერების ლექციებს ჰკითხულობენ თურმე ქალეზისთვის. (ამ პროფესორებში სხვათა შორის არიან: ბიოქსლი, ბუტრი და ლუქანი).

* * *

ამას წინათ ერთს პეტერბურლის გაზეთში („პეტერბურლის შურცელში“) დაბეჭდილი იყო, რომ პაროლოგის შკოლის ერთი მასწავლებელი სცემა და საზოგადოთ ძალიან ცუდად ვეყრობა შეგირდებსაო. ეს ამბავი სხვა გაზეთებშიც გადაბეჭდეს და უკმაყოფილებას აცხადებდნენ შკოლის ზედამხედველზე. ამ გარემოების თაობაზე შემოხსენებული გაზეთის რედაქტორს შემდეგი შესანიშნავი წიგნი მოუვიდა ს. პეტერბურლის შკოლების ინსპექტორისაგან:

„მ. ს. თქვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო სტატია პაროლოგის შკოლის მასწავლებლის ცუდად ქცევაზე. მე 73 შკოლა მამარია და მუდამ ჩემი მზრუნველობა ის არის, რომ მასწავლებლებმა არა თუ არ სცემონ შეგირდებსა, არამედ არც დაიჩქონ და არც უსაღილოთ დასტოვონ, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნარი ქცევა ყმაწვილებს სრულიად არ გაწვთინს. წავიკითხე თუ არა თქვენს გაზეთში შემოხსენებული შემ-

შოთი — თფილისის
ჩაინის გზა

შოთილამ ჰპირილამდე, 118 პერსი,
 (ბახსნილია ამ წლის 21 აგვისტოდამ)

ჩაინის გზის გამგებლებს პარტეი აქვთ აცნობონ საზოგადოებას, რომ შოთილამ შეირილის სტანკიამდი სრულიად გამართულია გზა და მიიღებენ როგორც პასაჟერებს, აგრეთვე ყოველგვარ საქონელსა და ნივთებს. პოეზილი რ გვარია: ერთი ნელა დაიარება და მეორე მსწრაფლად. მისაც ამის თაობაზე დაწერილი ბითი ცნობების შეტყობა ჰსურს, ვსთხოვთ მიმართონ: **თ ფ ი ლ ის შ ი** — გამგებლების კანტორაში, და **შოთს** — ექსპლოატაციის უფროსთან.